**შეთანხმება თავდაცვის განათლების თანამშრომლობაზე გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის აკადემიასა და საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას შორის**

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია და გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის აკადემია იზიარებენ ერთობლივ ინტერესსა და პასუხისმგებლობას თავდაცვის სფეროში კადრების მომზადებაზე მომავალი გამოწვევების საპასუხოდ. 2013 წელს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ბრიტანეთის თავდაცვის აკადემია აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოსთან. ამ საერთო მიზნით გაერთიანებულნი, ვაპირებთ პრაქტიკული გზების მოძიებას, რათა ვითანამშრომლოთ და განათლებისა და წვრთნის მეშვეობით ხელი შევუწყოთ და ავამაღლოთ როგორც საქართველოს და გაერთიანებული სამეფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების, ისე ჩვენი მოკავშირეებისა და პარტნიორების ინტერესები.

1. ეს თანამშრომლობა შეესაბამება თავდაცვის სფეროს მემორანდუმს[1] შემდეგ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ:

ა. როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო პირადი შემადგენლობის მომზადება და სრულყოფა;
ბ. თანამშრომლობის გაძლიერება მოსამზადებელ და საგანმანათლებო დაწესებულებებს შორის.

2. ჩვენს ორ დაწესებულებას შორის ურთიერთობა ნდობასა და თანამშრომლობაზეა დაფუძნებული, რომელთა მიზანს წარმოადგენს ჩვენი ერთობლივი მუშაობის დახვეწა იმ იდეების გაცვლის ხელშეწყობით, რომლებსაც მივყავართ ურთიერთგაგებამდე, ურთიერთმხარდაჭერამდე და საუკეთესო გამოცდილების გაზიარებამდე. ეს მიიღწევა საქართველოსა და ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოში უკვე არსებული კურსების მეშვეობით. არსებული რესურსების, შესაძლებლობებისა და ეროვნული მოთხოვნების პირობებში ასეთი თანამშრომლობა შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს (აღსანიშნავია, რომ ეს სია არ არის ამომწურავი, მითითებების მიმცემი ან სავალდებულო):

ა) გაცნობითი სახის შეხვედრები, რომლებიც მოიცავს გაცვლით პროგრამებს და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დახვეწას;
ბ) სამხედრო და სამოქალაქო პროგრამების შემუშავებაზე თანამშრომლობა;
გ) ხარისხის მართვისა და საგანმანათლებლო მეთოდების შესახებ იდეების გაცვლა;
დ) ინფორმაციისა და პუბლიკაციების გაცვლა და გაზიარება;
ე) ენობრივი მომზადების უზრუნველყოფა;
ვ) ერთმანეთის სასწავლო კურსებზე სპეციალისტების მიერ ჩატარებული ლექციების მიწოდება;
ზ) ლოკალური და რეგიონალური კულტურის შესახებ რეკომენდაციების უზრუნველყოფა;

[1] თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის, 2013

თ) ურთიერთთანამშრომლობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების მიზნით;

ი) სამხედრო განათლების სფეროში ბოლონიის პროცესის პრინციპების განხორციელების ხელშეწყობა.

3. ეს შეთანხმება ძალაში შედის 2015 წლის 10 ივნისს და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. შესწორება შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში და შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

4. 2015 წლის 10 ივნისს ქ. გორში ხელი მოეწერა დოკუმენტს ორ ეგზემპლარად ინგლისურ და ქართულ ენებზე, თარგმანი შეესაბამება ორიგინალს. ტექსტის განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე შესრულებულ დოკუმენტს.

ხელმოწერა

პოლკოვნიკი ირაკლი გეგეჭკორი
საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის რექტორი

ხელმოწერა

ადმირალი დუნკან პოტსი
გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის
აკადემიის დირექტორი

**Arrangement on Defence Education Co-Operation between the National Defence Academy of Georgia and the Defence Academy of the United Kingdom**

The National Defence Academy of Georgia and the Defence Academy of the United Kingdom share a mutual interest in, and responsibility for, the preparation of people in Defence to meet the challenges of the future. Building on the Agreement signed in 2013 we recognise the continued close cooperation between the United Kingdom and Georgia. Driven by this common goal, we intend to explore practical ways to co-operate with a view to advancing and promoting, through education and training, the defence and security interests of Georgia and the UK as well as our allies and partners.

1. This cooperation complies with the MOU on Co-operation in the Defence Sphere[1] concerning:

- Training and developing personnel, both civilian and military; and
- Enhancing co-operation between training and educational institutions.

2. The relationship between our two institutions will be one of trust and co-operation between peers, the aim being to improve our collective output by fostering an exchange of ideas leading to shared understanding, mutual support and the adoption of best practise. This will build on the current range of courses that is already available, based on MOD-to-MOD agreements, in each other's establishments. Within the realities of resources, capacity and national requirements, such co-operation might involve the following, however this list is not exhaustive, prescriptive or binding:

- Familiarisation visits, including exchange programmes and academic and administrative staff development.
- Collaboration in civilian and military curricula development.
- Exchange of ideas on educational methodologies and quality assurance.
- Sharing and exchanging information and publications.
- Provision of language training.
- Delivery of specialist lectures to each other's courses.
- Advice on local and regional culture.
- Collaboration in academic and administrative staff development.
- Promote implementation of the principles of the Bologna Process in military education.

3. This Arrangement enters into effect on 10 June 2015 and lasts in perpetuity. It may be amended by mutual consent and may be terminated at any time by mutual consent.

4. Signed in duplicate in Gori on 10 June 2015 in English and Georgian languages, both equally authentic. In case of different interpretation of the text, the English version will prevail.

Signed

Colonel Irakli Gegechkori
Rector National Defence Academy, Georgia

Signed

Vice Admiral Duncan Potts CB
Director General UK Defence Academy

[1] Memorandum of Understanding between the Ministry of Defence of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland and the Ministry of Defence of Georgia on co-operation in the defence sphere, 2013.